



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000060837428520

№ 26-ი

03 / ივლისი / 2020 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ალპურ ზონაში მდებარე 571 ჰა (ს/კ 54.18.51.023) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საძოვარი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, 10 წლის ვადით განკარგვის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 15 250.00 ლარი.

მუხლი 2

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ალპურ ზონაში მდებარე 170 ჰა (ს/კ 54.18.51.024) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საძოვარი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, 10 წლის ვადით განკარგვის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 4 550.00 ლარი.

მუხლი 3

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ალპურ ზონაში მდებარე 154 ჰა (ს/კ 54.18.51.002) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საძოვარი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, 10 წლის ვადით განკარგვის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 4 110.00 ლარი.

მუხლი 4

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ალპურ ზონაში მდებარე 77 ჰა (ს/კ 54.18.51.003) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საძოვარი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის

ფორმით, 10 წლის ვადით განკარგვის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 2 070.00 ლარი.


მუხლი 5

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 6

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელემენტრულად 

გიორგი ლამბაშიძე